საქართ. შემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 285

პარასკევი სექტემბრის 1 1922 წ.

ტფილ. ფასი 50ათ მან. პროვინც. 6000 მან.

ტფილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილება

ამით აცხადებს, რომ პარასკევს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მირზოევის აბანოს შეკეთებისა

4—4

ვაჭარ-მრეწველთა საყურადღებოდ

სადარაბო საქმის კიდევ უფრო სწორად მოგვარებისათვის ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმი

ამ საკითხის შესახებ არსებულ წესის შეცვლით, აცხადებს ვაჭარ-მრეწველთა საყურადღებოდ, რომ ამიერიდან ყოველგვარი ადმინისტრატიული ხასიათის განკარგულება „დარაბების გაცემა ჩამორთმევის შესახებ სრულიად არ იქნება დაშვებული, ან და იქნება მხოლოდ ქალაქის და სახელმწიფო დიდმნიშვნელოვან საქმეთათვის, ხოლო დარაბების დღევანდელ მფლობელთა და ქალაქის აღმასკომის შორის უფრო ნორმალურ უფლებრივ ურთიერთობის დასამყარებლად შეკრული იქნება ყოველ ცალკე შემთხვევაში პირობა, რომლის თანახმად გადაწყვეტილი იქნება ვადა და მტკიცე საიჯარო გადასახადი.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ი. წიზწიშაძე**

საფინანსო განყოფილების გამგე **თ. ღლონტი**

242 3—2

ყველა იმ შეზღუდვათა, სადარაჯო და საკონტროლო პუნქტების გაუქმება, რომლების ხელს უშლიან ტვირთების გადაზიდვას

საკავშირო საბჭოს 26 აგვისტოს დადგენილების თანახმად, ამიერკავკასიის რკინის გზების უფროსი მოადგილემ ლედერმა გამოაცხადა მთელ ხაზზე სამმართველოს და ყველა უფროსების ცნობად და სახელმძღვანელოდ: „ყველა შეზღუდვანი, სადარაჯო და საკონტროლო პუნქტები საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებზე გაუქმებულ უნდა იქნეს 24 საათის განმავლობაში. თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით ამავე ვადის განმავლობაში ყველა ის შეზღუდვანი, რომელიც დაწესებულია სახალხო კომისართა საბჭოების, სასურსათო სახ. კომისარიატის და ხელისუფლების დანარჩენ ორგანოების მიერ, და რომელიც ხელს უშლის საქონლის, პროდუქტების და საგნების გადატან-გადმოტანას. საკავშირო საბჭოების მიერ შემოღებული ყველა შეზღუდვანი, დეკრეტები, დადგენილებები და განკარგულებანი გაუქმებულ უნდა იქნეს 48 საათის განმავლობაში. ამ ვადის განმავლობაში ყველა შინაური საზღვრები და საქონლის ტრიალი, როგორც თვითეულ რესპუბლიკის შიგნით, ისე რესპუბლიკების შორის გამოცხადებულია თავისუფლად. ვიძლევი წინადადებას ზემოხსენებული დადგენილება სასტიკად იქნეს მიღებული სახელმძღვანელოდ და ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც ადგილი ექნება ყოველგვარ ჩარევას თქვენ მოქმედებაში და აგრეთვე დარღვეული იქნება საკავშირო საბჭოს დადგენილება, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საზოგადოებრივ წესრიგის დაცვის უახლოეს თანამშრომელს და ხოლო ასლი გადმომეგზავნოს მე დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. ბრძანება ეს შედის ძალაში ტელეგრაფით გადაცემის შემდეგ და უნდა იქნეს გამოკიდებული ყველა სადგურებზე.

№ 19 2—1

კომისია შრომისა და ტვირთ გაზიდვის

ხარჯის გაწერისა

ქ. ტფილისში

ამით აცხადებს, რომ

წინანდელ განცხადებათა შესასწორებლად თანახმად ტფილისის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა § № 6, ამა წლის 1 სექტემბრიდან მოქალაქენი, რომელნიც ვალდებულნი არიან გადაიხადონ შრომისა და ტვირთ ზიდვის ხარჯი.

ნაცვლად 475.000 მანეთისა იხდიან 500.000 მანეთს,
„ 950 000 „ „ 1.000.000 „
„ 1,140.000 „ „ 2.200.000 „

ამ განცხადებას აქვს ძალა განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

2—1 პასუხისმგებელი მდივანი და წევრი კომისიის **ა. რუხაძე.**

მეტი დახმარება!

კულტურულ სფეროში სამუშაოდ მიუცილებელი პირობაა სრული თავისუფლება, რომ ნიჭმა ფრთა გაშალოს და ნაყოფი გამოიღოს. ჩვენში კი, როგორც გუშინდელ მეთაურში ვსწერდით, ანტიეროვნული რეაქციით ისე დახუთულია ყველაფერი, რომ მუშაობა შეუძლებელი ხდება: აღარ არის ხალხი, მიმზიდველობა, [illegible]. ეს არის მთავარი, რაც ხელს უშლის და აბრკოლებს კულტურულ მუშაობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურული მუშაობის გაცხოველებისათვის აგრეთვე ნივთიერ მხარესაც. კულტურული მუშაკები, რასაკვირველია უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ერთგვარი საარსებო მინიმუმით. კულტურული დაწესებულებანი აგრეთვე მოწყობილნი უნდა იყვნენ იმდენად მაინც, რომ იქ მუშაობა შესაძლებელი იქნეს. სამწუხაროდ ჩვენში ეს პირობები არაა დაცული სავსებით. უდიდესი და უძვირფასესი კულტურული მუშა არის მასწავლებელი. უსაშველოდ დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია ერის კულტურული ცხოვრება და წინსვლა. სახალხო სკოლა—ეს ხომ ფუძეა კულტურისა, სახალხო მასწავლებელი ცოდნისა და სინათლის გამავრცელებელი აგენტია. როგორია დღეს მათი ნივთიერი მდგომარეობა? სახალხო მასწავლებლის ჯამაგირი განისაზღვრება 750,000 მანეთით და იმასაც ღებულობს 4—5 თვის შემდეგ. სოფლის სკოლები სრულიად გაპარტახებულია. არა აქვთ არავითარი ხელსაწყო თვალსაჩინო სწავლებისათვისაც კი, რამც თუ შრომის სკოლის პრინციპების გასატარებლად. ასეთ პირობებში არა რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რა კულტურული მუშაობის გაშლება შეუძლია მას სოფლად?

უკეთეს პირობებში არ არის არც საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები. ჩვენ სტუდენტებს ყველგან შეხვდებით,—უნივერსიტეტში კი იშვიათად იმიტომ, რომ სამსახურში არიან და უნივერსიტეტისათვის აღარ რჩება დრო. ზოგმა სპეკულიაციასაც მიჰყო ხელი: თუ კი წითელი ვაჭარია საჭირო, ჩვენაც ვცდით. განათლების კომისარიატმა, თუმცა შეეცადა, დაპირდა კიდეც, მაგრამ ვერ მოახერხა სტუდენტებისათვის მიეცა ბინა და სტიპენდიები. თვით უნივერსიტეტიც დიდხანს იყო უსინათლოდ გასულ სასწავლო წელში.

ასეთ პირობებში, რა უნდა მოსთხოვოთ უნივერსიტეტს და სტუდენტობას?

ამ სამ ოდე თვის წინად დაარსდა სამხატვრო აკადემია. ამით საფუძველი ჩაეყარა დიდ ეროვნულ კულტურულ საქმეს. მაგრამ, როგორც გუშინდელ წერილიდან დაინახავდით, იქაც ამავე დაბრკოლებას ჰქონია ადგილი: არ არის მოწყობილობა, არ არის ბინა. მოწყობილობას კიდევ ვერ მოვსთხოვთ ჯერ—3—4 თვეში სამხატვრო აკადემიას ვერავინ ვერ მოაწყობს—მაგრამ ბინით უზრუნველყოფა კი შეიძლებოდა. ეს დიდი საქმე არ იყო და არც რაიმე განსაკუთრებულ ხარჯებს გამოიწვევდა.

ასეთსავე უმწეო მდგომარეობაშია ქართული მუსიკა, თეატრი და სხვა.

ამ ასეთ ნივთიერ პირობებში მეტად ძნელია კულტურული მუშაობის წარმოება. დროა ამ მხარესაც მიექცეს ყურადღება. ჩვენ ისეთ პირობებში ვართ, რომ ჩვენი კულტურა მეტ სახელმწიფოებრივ მფარველობას და დახმარებას მოითხოვს დაუცილებლად.

ომეგა

გერმანია და რუსეთი

მოსკოვი. 30 აგვისტო. 26 აგვისტოს გერმანიის რწმუნებულმა ინახულა ამხ. კრასინი, რომელსაც თავისი მთავრობის დავალებით განუცხადა შემდეგი: „გერმანიის პროფკავშირების წარმომადგენლებმა განუცხადეს რეიხსკანცლერს 24 აგვისტოს, რომ მარკის კურსის კატასტროფიული დაცემის გამო, გერმანიის მშრომელთა ფართო წრეებისათვის შეიქმნა აუტანელი ცხოვრების პირობები. ქვეყნის სახალხო მეურნეობა სდგას კატასტროფის წინაშე. გერმანია გრძნობს სურსათის დიდ ნაკლულოვანებას დღევანდელმა გერმანიის მთავრობამ გააკეთა ის, რის გაკეთებაც მას შეეძლო ვერსალის ხელშეკრულების პოლიტიკის გასატარებლად. პროფკავშირთა ზემოხსენებული განცხადება, იმ პროფკავშირებისა, რომელნიც იყვნენ ერთგული მექომაგენი ამ პოლიტიკისა, რა თქმა უნდა ამტკიცებს მოვალე ქვეყნების დაუყოვნებელი ჩარევის აუცილებლობას. ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ თქვენ მიიღებთ ზომებს, რომ ის მძიმე და სერიოზული მდგომარეობა, რომელშიაც ჩოექცა გერმანიის ხალხი თქვენი მთავრობის სათანადო ღონისძიებათა საშუალებით რაც შეიძლება უკეთ გაეცნოს ხალხს.

ამის საპასუხოდ ამხ. კრასინმა განაცხადა. „არ შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, თუ რაოდენ სიმპატიით და თანაგრძნობით ეპყრობა გერმანიას და მის მშრომელებს რუსის ხალხი, რომელნიც ჩაყენებულნი არიან ასეთ მძიმე პირობებში". ამხ. კრასინმა გამოსთქვა რწმენა, რომ თანასწორობისა და ერთი მეორისადმი პატივისცემის საფუძველზე რაპალოში დადებულმა ხელშეკრულებამ შექმნა სათანადო პირობები გერმანიასა და რუსეთს შორის ეკონომიური კავშირის გასაძლიერებლად. ეს ხელშეკრულება დიდი ყურადღების ღირსია, ვინაიდან ამ ხელშეკრულების მეოხებით, რუსეთი თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით და გერმანია მისი ორგანიზაციული ტეხნიკური საშუალებებით, გამონახავენ გზას ურთიერთ შორის მეურნეობისა და ფინანსების აღსადგენად.

უცხოეთი

კაბინეტის სხდომა.

რომი, 30 აგვისტო. რომში ჩავიდა ფაქტა კაბინეტის სხდომაზე თავმჯდომარეთ დასასწრებლად. კაბინეტი განიხილავს საკითხს პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ.

ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვის წინააღმდეგ.

ბორდო 30 აგვისტო. სტოკჰოლმიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სამმა ზღვის სანაპირო ნავთსადგურმა, რომელიც ცნობილნი არიან კონტრაბანდული ვაჭრობით, ხმის დიდი უმრავლესობა მისცეს ალკოჰოლის და ნარკოტიულ სასმელების გატანა-გაყიდვის აკრძალვის წინააღმდეგ.

ერთა ლიგაში.

ბორდო 30 აგვისტო. სააგენტო ჰავასის ცნობით, ერთა ლიგის საბჭოს ექნება 2 სესია. პირველი სესია, რომელიც გაიმართება კინონეს დე-ლეონის თავმჯდომარეობით შეიმუშავებს პლენარულ სხდომის დღის წესრიგს, ხოლო მეორე განიხილავს საკითხს მანდატების და წმიდა ადგილების შესახებ. მეორე სესიაზე თავმჯდომარედ იქნება ბრაზილიის ელჩი ლონდონში და—გამა.

ბორდო 30 აგვისტო. გერმანიის ერთა ლიგაში დაშვების საკითხის შესახებ სააგენტო ჰავასი იტყობინება, რომ საფრანგეთი კატეგორიულად გაილაშქრებს გერმანიის ერთა ლიგაში შეყვანის წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში კი იგი ამჯობინებს ერთა ლიგიდან გამოსვლას.

ნაუენი 30 აგვისტო. ჩამოვიდა ჟენევაში ერთა ლიგის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებათ დანციგის სენატის თავმჯდომარე სამი.

ნაუენი 30 აგვისტო ინგლისის დელეგაციის წევრთა რიცხვში ერთა-ლიგაში მონაწილეობის მისაღებათ ინგლისის მთავრობამ დანიშნა ქალი მისს გუმბე.

ბენეშის განცხადება.

ნაუენი 30 აგვისტო. პრაგაში გამართულ მცირე ანტანტის კონფერენციის შემდეგ ბენეშმა ჰავასის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ კონფერენციამ ყველა დეპუტატებს დაუტოვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ მცირე ანტანტას შეუძლია ამ მომენტში შეინარჩუნოს მშვიდობიანობა და რომ იგი, ბენეში, დაჟინებით მოითხოვდა იმ სახელმწიფოების ერთობას, რომელნიც შედიან მცირე ანტანტაში. ავსტრიის საკითხის შესახებ ბენეშმა განაცხადა, რომ მცირე ანტანტამ გადასწყვიტა ითანამშრომლოს ჟენევაში დიდ სახელმწიფოებთან მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში.

პოლონეთის გარეშე.

ჰანოვერი 30 აგვისტო. პრაგაში 28 აგვისტოს დახურულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა სრული შეთანხმება, მაგრამ საყურადღებოა, რომ მცირე ანტანტის გაფართოვება და პოლონეთის მასთან შეერთება არ მომხდარა.

ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

ჰანოვერი 30 აგვისტო. სამხრეთ სლოვაკიის და ჩეხო-სლოვაკიის ხელშეკრულების ვადა გაგრძელებულია 25 წლით.

ბორდო. 30 აგვისტო. „ბერლინერ ტაგებლატი" მოითხოვს სასურსათო დიქტატურას. გაზეთის აზრით, გერმანიის მთავრობას უნდა ეღო მაგალითი საფრანგეთისაგან, რომელმაც შესძლო მოეწესრიგებია სასურსათო საკითხი.

თამბაქოს ნაწარმოებთა გაძვირება.

ნაუენი. 30 აგვისტო. შემჩნეულია დიდათ ფასების აწევა თამბაქოზე; ერთი პაპიროზი ღირს შვიდი მარკა, ერთი სიგარა 20 მარკა.

გაძვირება რკინის გზის ტარიფისა.

ნაუენი. 30 აგვისტო. ავსტრიის გზათა მინისტრის დეკრეტით, პირველი სექტემბრიდან ტარიფი ავსტრიის რკინის გზებზე გადიდებულია 150%.

გაზეთების გაძვირება.

ნაუენი. 30 აგვისტო. გაზეთებზე ფასები კვლავ აიწია. დილის გაზეთები ღირდა 650 კრონი, საღამოსი 120 კრონი.

შეთანხმება არ მოხდა.

ნაუენი. 30 აგვისტო. „მესაჯეროს" ცნობით, პროექტი სადამოჟნო კავშირისა ავსტრიის და იტალიის შორის უარყოფილ იქნა.

უარყოფა.

ბორდო. 30 აგვისტო. ოფიციალურად უარყოფენ გარეშე საქმეთა მინისტრის ბენეშის სამსახურიდან გადადგომას, რომელიც მიემგზავრება ჟენევაში ერთა ლიგის სხდომებზე დასასწრებლად.

თითქმის სიმშვიდეა.

ბორდო. 30 აგვისტო. ქალაქში მდგომარეობა თითქმის ნორმალურია; ტრამვაი მოძრაობს, გაფიცულთა დაკრძალვა უინციდენტოთ ჩატარდა.

მხოლოდ ამდენი...

ბორდო. 30 აგვისტო. მიუხედავათ საერთო გაფიცვის გამოცხადებისა, ნაწილი გაფიცულთა მცირერიცხოვანია. მსხვილი წარმოებანი ნორმალურ მუშაობას განაგრძობენ. იტყობინებიან მომხდარ უწესოებაზე მეტალურგიულ ქარხნებში. გაფიცულთა დიდი რიცხვი შენიშნული რომბეში, ტურკუენში და ჩრდილოეთით მდებარე მაღაროებში. აგრეთვე გაფიცვები დაწყებულია რუანოში, ლია-ბარსეში და ლიონში.

მუნიციპალიტეტის დაკავება.

ბორდო. 30 აგვისტო. მიუხედავად ჯარების წინააღმდეგობისა, ფაშისტების ჯგუფმა დაიკავა მუნიციპალიტეტი ქალაქ ვარეზეში და გადააყენა ქალაქის მოურავი.

კოლონიალური კონგრესი.

ბორდო. 30 აგვისტო. პირველი კოლონიალური კონგრესი იტალიის გაიხსნება ტრიესტში 12 სექტემბერს.

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

ბორდო 30 აგვისტო. ათინიდან იტყობინებიან, რომ ბერძნებმა დასცალეს აფიონ-კარა-გისარი. ნიკოდელიის სექტორში ბერძნებს უკანდახევის დროს დიდი ზარალი მიადგათ. თუ ოსმალების შეტევა ბრუსის მიმართულებით გაგრძელდება, ბერძნების ჯარები სანაპირო რაიონში მოწყვეტილი იქნებიან.

ბორდო 30 აგვისტო. ათინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბერძნების ჯარები იკავებენ ამჟამად ახალ პოზიციებს აფიონ-კარა-გისარის დასავლეთით.

ბორდო 30 აგვისტო. ანგორიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ბერძნების შემოტევა მოგერიებული იქნა. ოსმალების რაზმების მოძრაობა გრძელდება.

რომი 30 აგვისტო. საბერძნეთის სარდლობა იტყობინება ბერძნების ძლიერი შეტევის შესახებ აფიონ-კარა-გისარის რაიონში.

კომუნისტების დაპატიმრება.

ბორდო 30 აგვისტო. ვარშავას პოლიციამ დააპატიმრა რამდენიმე კომუნისტი.

ეკონომიური კონფერენცია.

ბორდო 30 აგვისტო. გაზ. „დეილი ექსპრესის ცნობით, ეკონომიური კონფერენცია რომლის მოწვევა განზრახული იყო გენუაში, შეიკრიბება ლონდონში ოქტომბრის დამლევს.

ამერიკის კაპიტალის დაზვერვა.

ნაუენი 30 აგვისტო. დელეგაცია ვაშინგტონის კომერციულ კონგრესისა, რომელიც აერთიანებს სამხრეთ-ამერიკის 12 ბანკს და შეერთებულ შტატების რამდენიმე ასეულ კომერციულ კომპანიას ჩავიდა შერბურგში რათა მოახდინოს დაზვერვა საფრანგეთში, გერმანიაში შვეიცარიაში და იტალიაში თავისი ფილიალური განყოფილების დასაარსებლად ევროპაში.

ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვის გამო.

ბორდო 30 აგვისტო. რეფერენდუმი ალკოჰოლის შემოტანის და გაყიდვის აკრძალვის შესახებ დამთავრდა შემდეგი შედეგებით. ხმების 48 პროც. იყო აკრძალვის სასარგებლოდ, მხოლო 52 პროც. აკრძალვის წინააღმდეგ.

პოლიციის კონგრესი.

ჰანოვერი 30 აგვისტო. გერმანიის პოლიციის მეთაურმა მიიღო ნიუ-იორკიდან მიწვევა მიიღოს მონაწილეობა პოლიციის მოღვაწეთა ყრილობაზე, რომელიც მოწვეული იქნება 29 აგვისტოს ნიუ-იორკში.

ბუნების მეტყველთა და ექიმების გამგზავრება.

ბერლინი 18-24 სექტემბრამდე გერმანიის ბუნების მეტყველთა და ექიმების საზოგადოების ასწლის თავის აღსანიშნავად, ლეიპციგში გაიმართება ბუნებისმეტყველთა და ექიმების ყრილობა, რომელზედაც მთელი რიგი გამოჩენილ მომუშავეთა ამ დარგში წაიკითხავს მოხსენებებს თანამედროვე სამეცნიერო საკითხების შესახებ. ყრილობაზე ჩაეწერნენ პროფესორები, ენშტეინი, ეპირრი, იოგანსონი და სხვები. გამოჩენილი მოგზაური სვენ-გედინი წაიკითხავს ყრილობაზე მოხსენებას თავის უკანასკნელ მოგზაურობის შესახებ ტიბეტში.

ერთიანი ფრონტით.

მოსკოვი 30 აგვისტო. გერმანიის და საფრანგეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების კონფერენციაზე კელნში დაესწრნენ: საფრანგეთიდან—კაშენი, რეკუკერი, ტრენსი, ლაპორი, გერმანიიდან—ცალგეიმერი, ვრანდლერი, გეკკერი და ლიუდვიგი. კონფერენციამ წამოაყენა შემდეგი ლოზუნგები: ვერსალის ხელშეკრულების გაუქმება, რურის ოლქის ოკუპაციის მოსპობა, მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი გერმანიის, საფრანგეთის და საბჭოთა რუსეთის შორის. ბრძოლა სიძვირისა და გადასახადების სიმაგრის წინააღმდეგ, სამრეწველო და ფინანსიური კონტროლის დაწესება, მუშათა დრუჟინების ორგანიზაცია და მუშათა მთავრობის შექმნა.

გერმანიის კომპარტიის მოწოდება.

მოსკოვი. 30 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ცეკამ მიმართა გერმანიის პროლეტარიატს მოწოდებით, რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავს გერმანიის მუშათა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა შემარიგებელ პოზიციებს, რომელიც ანგარიშს არ უწევს მუშათა მასების განწყობილებას. მიმართვა მოუწოდებს მუშებს არ გაუგონონ პარტიულ ბიუროკრატებს და აღმართონ კლასთა ბრძოლის დროშა.

კომუნისტების გამარჯვება.

ბერლინი. გაზ. „როტე-ფანეს" ცნობით, კარანტონში მომხდარ მუნიციპალიტეტის არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 2100 ხმა, სოციალისტებმა 1100 ხმა, ნაციონალისტურმა ბლოკმა 1900 ხმა და რადიკალებმა 1400 ხმა. ასეთი შედეგი, გაზეთის აზრით, ნათლად ამტკიცებს კომუნისტური პარტიის ძალას და ზრდას.

დამოუკიდებელ პარტიის პოლიტიკის გარშემო

(დოგმატიური სოციალიზმის კრიზისი)

8.

დღევანდელმა საერთაშორისო გარემოებამ ერთი დიდი და მთავარი კითხვა წამოაყენა გადასაჭრელად სოციალისტური პარტიებისათვის: ვიმყოფებით ჩვენ რევოლუციის განვითარების პერიოდში თუ არა. არის თუ არა თანამედროვე ვითარება რევოლუციონური პერიოდის გამომხატველი და იძლევა თუ არა ის შანსებს პროლეტარიატის გამარჯვების შესახებ. ეს საკითხი არის ის მთავარი წერტილი, რომელმაც უნდა განსაზღვროს სოციალისტური პოლიტიკა და მისი სამოქმედო გეგმები, მან უნდა მისცეს შინაარსი და ფორმა სოციალისტური პარტიის პოლიტიკას. თუ დღევანდელ პირობებში შეიქმნა ნიადაგი რევოლუციის განსავითარებლად და მის მომავლის უზრუნველსაყოფად, მაშინ პარტიის გეგმა მიმართული უნდა იქნეს კაპიტალიზმის განადგურებისა და პროლეტარიატის ძალა-უფლების დამყარებისაკენ. თუ ამის საწინააღმდეგო ტენდენციებს აქვს ადგილი და კაპიტალისტურმა მეურნეობამ შესძლო აღადგინა თავისი ბატონობისა, მაშინ პრაქტიკულ პოლიტიკის გეგმიდან თავისთავად იხსნება დღევა კაპიტალისტურ სახელმწიფოთან შეტაკების შესაძლებლობა და პარტია აწყობს თავის რიგებს მომავლისათვის, შემდეგი დიდი ბრძოლისათვის. საკითხის ასე დაყენება ნიშნავს რეალურ ძალთა შეფასებას და შექმნილ მდგომარეობის მიხედვით სამოქმედო პროგრამის გამომუშავებას. ვინც შეგნებულად გვერდს უვლის ამ კითხვაზე პასუხის გაცემას და მისი შეფარდებით შესაფერისი პოლიტიკის დასახვას, ის მოკლებული არის რეალურს ღირებულებას და კვლავ უმოქმედო ლოდინის პოზიციაზე სდგას. რეფორმისტებმა ამ კითხვას უარყოფითად უპასუხეს და კაპიტალიზმში ხედავენ მხსნელს ძალას. ამიტომ მათი პოლიტიკა ნათელი და გარკვეულია. დღევანდელ პირობებში ისინი ენერგიულად ემსახურებიან კონტრრევოლუციის საქმეს. მეორეს მხრით, მემარცხენე ფრთამ, კომუნისტურმა მიმდინარეობამ, გარკვეული რევოლუციონური პერსპექტივები დაისახა და თანამედროვე პერიოდი განმარტა, როგორც უდიდესი რევოლუციონური ენთუზიაზმისა და შესაძლებლობის გამომხატველი.

საერთაშორისო რევოლუციის ბელადი და სულის ჩამდგმელი ამხ. ნ. ლენინი ამ საკითხის შესახებ სწერს: „ომის მიერ შექმნილ საერთაშორისო დარღვევის ნიადაგზედ იზრდება საერთაშორისო რევოლუციონური კრიზისი, რომელიც, როგორი ხანგრძლივი და მძიმე პერიპეტიებიც არ უნდა გაიაროს მან, შეუძლებელია სხვანაირად დამთავრდეს, თუ არ პროლეტარიატის რევოლუციითა და მისი გამარჯვებით". (იხ. „**Коммунистический интернационал**" № 18 წერილი: „**Империализм и Капитализм**"). ეს არის დასკვნა არა ზერელე აზროვნების ნაყოფისა, არამედ ხანგრძლივი დაკვირვებისა და მეცნიერული შესწავლის თანამედროვე სოციალურ ძალთა განწყობილების. ლენინმა მეცნიერული ანალიზი გაუკეთა კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ვითარებას, მისგან შექმნილს სოციალურს პირობებსა და ეკონომიურს ყოფას და აქედან დაასკვნა შესაფერისი პოლიტიკური ხაზი: კაცობრიობის გამოსავალი მხოლოდ სოციალიზმია: გარკვეულს პერსპექტივას თავისი შესაფერისი გარკვეული რევოლუციონური პოლიტიკა შეუწონა და მოგვცა დამთავრებული სისტემა გარდამავალი პერიოდისა, რომელიც სოციალური რევოლუციის პირმშო შვილია.

როგორი შეხედულებისა არის ამ კითხვაზე ორნახევრიანი ინტერნაციონალი და მისი მიმდევარი დამოუკიდებელი პარტიები?

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელთა ბელადებს შესაძლებლობა მიახნიათ თეორიულად ომის მიერ შექმნილ პირობებზე სოციალისტური წყობილე-

სვანეთის მდგომარეობა

(ამხ. თენგიზ ჟღენტის საუბრიდან)

ამ დღეებში მე დავბრუნდი სვანეთიდან. სულ იქ დავყავი დაახლოვებით 3 თვე.

ივნისის პირველ რიცხვებში უკვე ქვემო სვანეთში ვიყავით, მაგრამ რადგან ლათფარის უღელტეხილზე საცხენოსნო გზა არ იყო გახსნილი თოვლის მიზეზით, იძულებული ვიყავით გადავსულიყავით ფეხით მუშურის უღელტეხილზე, რომლის სიმაღლე თერთმეტი ათას ორას ფუტს უდრის.

გადასავალი მეტად საშიში და სახიფათოა,

მუშურს გადაღმა დიდი თოვლი იყო. მეგზაური სვანები, რომლებიც გვახლდა, მიშლიდნენ: ან დავგორებულიყავით თოვლზე, ან ზვავს არ მოვეტაცეთ.

მაგრამ მაინც წავედით და ხრიალ ხრიალით, ერთი ვერსით, მთლობიდან ძირს დავეშვით. როგორც იქნა გადავრჩით და მივაღწიეთ პირველ სოფელ მლის, რომელსაც კალის საზოგადოებას უწოდებენ.

ასეთი მოგზაურობის შემდეგ, კალაში თავისუფლად ვიგრძენით თავი. ერთი ღამის შესვენების შემდეგ მეორე დღეს ზემო სვანეთის ცენტრში ბეჩოში მივედით.

უნდა გითხრათ თავიდანვე, რომ სვანეთში მომხდარი გაუგებრობა მეტად გააზვიადეს ხალხის მტრებმა და სვანებს მოახვიეს თავზე ის, რაც მათ აზრათაც არ მოსვლიათ.

მიზეზი ამ გაუგებრობისა იყო: პირველი—ზოგიერთი სვანი, რომელთაც „კომუნისტობა" უკისრიათ, მაგრამ კომუნისტური იდეა გაუცრუნდებოდა მეორე—როგორც მოწყვეტილი მიუვალ კუთხეში, სვანეთში არც ერთი მომზადებული აზნაგი არ მიდიოდა, რის მიზეზით საბჭოთა ნამდვილი აპარატი არ შექმნილა, ხოლო მაინც აპარატებს რა თქმა უნდა ხალხი ვერ შეეგუებოდა. მცხოვრებლებისათვის საინტერესო კითხვების გაუქმებისა და საბჭოთა აპარატების მოწყობის შემდეგ, გამოირკვა, რომ სვანეთის ხალხისათვის სავსებით უფრო ბუნებრივია და მისაღები საბჭოთა ხელისუფლება, ვიდრე სხვა რომელიმე ფორმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა. ამას ამტკიცებს ის, რომ თვით სვანეთის ხალხმა ყოველივე ნებაყოფლობით სრული ნდობა და ერთგულება გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას და თვითონ მოაგროვა იქ გაფანტული იარაღი და გადასცა მთავრობას. სვანეთს სურს მშვიდობიანი ცხოვრება და მტკიცე ხელისუფლება.

ამ 5 წლის განმავლობაში იმდენად მოუშვია თავი ბანდიტიზმს, რომ დღისით ეცემოდნენ ლეჩხუმს, სამეგრელოს, ოსეთს და ართმევდნენ ჯოგებს.

აგრეთვე ქურდობამ იქ ქრონიკული ხასიათი მიიღო. სვანებს იმდენად სურთ ბრძოლა ქურდებთან, რომ მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც იქ პატარა სატუსაღო მოვაწყვეთ და შიგ ქურდები გამოვამწყვდიეთ.

სვანეთს სწადია გამოვიდეს იმ უკულტურო მდგომარეობიდან, რომელიც მათ დიდი ხანია სტანჯავს. მაგრამ არ კმარა მარტო სურვილი მათი და ჩვენი. აქ საჭიროა სისტემატიური მუშაობა საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების, რომ სვანეთი დაუმზგავსოს საქართველოს სხვა კუთხეებს. ამას ხელს შეუწყობს გზა და ტელეგრაფი და სანამ ჩვენ ამას არ მოვაწყობთ, მანამდის იქ მუშაობას ექნება ისეთივე „კატასტროფიული" ხასიათი, როგორც ჰქონდა წარსულში. ვისაც წერა-კითხვა არა აქვს და ან თვით არ უნახავს სვანეთი, იგი წარმოიდგენს საქართველოს ჩვეულებრივ კუთხედ, ამიტომ მე ყველას ურჩევდი გაეცნოს სვანეთს.

სვანეთი კავკასიის მწვერვალ მთებზეა გაშენებული. ხალხი თითქოს საგანგებოთ წაშლილიყოს იმ ადგილებში, რათა უკან დაბრუნება არ შეიძლებოდეს.

ეჭვი არაა, რომ ამ ხალხის დამორჩილება ვერ მოუხერხებია ძველად ვერც ერთ მთავრობას და მეფეებს. ეგრედწოდებულ თავისუფალ სვანეთს არასოდეს არ ყოლია არც თავადი და არც მეფე.

ვინმე ფუთა დადეშქელიანს მოუნდომებია თავადობა, მაგრამ ის მოუკლავთ.

სვანეთი სამ ნაწილად იყოფა: სადადიანო (ქვემო სვანეთი), სადადეშქელიანო (ცხენისწყლისა ლენხერის ხეობა) და თავისუფალი სვანეთი.

თავისუფალ სვანეთში შემდეგი საზოგადოებაა: უშგული, კალა, იფარი, მულახი, მესტია, ლენჯერი და ლატალი.

მეორედან იწყება „სადადეშქელიანო" სვანეთი: ცხმარი, ეცერი, ფარი, თავრარი, ლახამული, ლენხერი და პარი.

ბეჩო, ეს სამაზრო ცენტრათაა აღიარებული. ის არის უშბას მთის ძირას.

უშბა მუდამ ნისლშია გახვეული; მას სამი თავი აქვს, ამიტომ მას თათრული სახელი უშბა ქვია, ესე იგი სამ თავიანი. მასზე ჯერ არავინ ასულა. ერთხელ ინგლისელ ექსკურსანტებს უცდიათ ასვლა, მაგრამ ერთი მათგანი დაღუპულა. ასეთ მიუვალ მთა-გორებიან ხეობებში ჩასახლებული ხალხი, რა თქმა უნდა ამაყი და მედიდური იქნება. ძველი ზნე-ჩვეულება, სისხლის აღება აქ ზედმიწევნით გავრცელებული. ამიტომაა, რომ ყველა გვარს და მოსახლეს ციხე აქვს აშენებული. ხის სახლებს იშვიათად ნახავთ. ამას იმით ხსნიან, რომ შიგ ცეცხლს ადვილად გაუჩენს მტერი მოკლეს. მარტო მულახში სამოცამდე ციხეა, ასე მესტიაში და სხვაგან.

სადადეშქელიანო სვანეთში ციხეები ნაკლებია, სჩანს თავადებისათვის არ იყო სასარგებლო, რომ გლეხებს ციხეები ჰქონოდათ და როცა დანგრეულა შეკეთების ნებას უთუოდ არ აძლევდნენ, რათა უფრო დამორჩილებით ჰყოლოდათ გლეხობა.

როდის უშენებიათ ეს ციხე სვანებს გადმოცემითაც არ ახსოვთ. აქ ხშირათ შეხვდებით უკვე გაპარტახებულ სახლებს და ციხეებს. როგორც მოგვითხრობდნენ ერთი გვარი მეორეს ამოწყვეტავდა ხოლმე, ხშირად დადეშქელიანი დადეშქელიანს, რათა მეტოქე არ ყოლოდათ.

ჩემის დაკვირვებით სვანები ნიჭიერი ხალხია, მაგრამ მათ სტანჯავს უკულტურობა, უსწავლელობა, ერთი მეორეს შური და სხვა.

ჩემს იქ ყოფნის დროს მოხდა ხუთიოდე მკვლელობა სისხლის აღების ნიადაგზე. ჩვეულება ასეთია თუ დამარხვამდის მოკლულის ძმებმა ან ნათესავმა ძმებმა ვერ მოკლეს მკვლელი სირცხვილით ტირილზე ვერ დაესწრებიან.

მე მივიღე ზომები, რათა სისხლის აღება უარ ეყოთ, რამდენადაც ეს მოსახერხებელია მოკლე ხანის მუშაობით.

გაჩაღდა შესაფერი აგიტაცია, მოხდა რამდენიმე შერიგება სვანური წესით და ზოგიერთი საქმეები გადაეცა სახალხო სასამართლოს, ბეჩოში. სასამართლოს შექმნას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. სასამართლოს მოხსენებიდან ირკვევა, რომ მთელი ხუთი წლის საქმეების და საჩივრების გარჩევას ხალხი ახლა იწყებს. ეს მუშაობა იმდენად სამძიმო შეიქნა, რომ ყველა გაურბოდა სასამართლოში მუშაობას.

ჩემს იქ ყოფნის დროს ბაქსანიდან (ჩრდილოეთ კავკასია) მოვიდა დელეგაცია სვანეთთან მოსალაპარაკებლად, რომლებმაც შემდეგი სიტყვებით მოგვმართეს: ჩვენ გვიხარია, როდესაც თქვენ მუშურის უღელტეხილზე გადმოდიოდით, იქნებ თქვენი საშუალებით მოეღოს ბოლო იმ მტრობას, რომელიცაა ჩვენსა და სვანეთს შორისაო. მათ ჩვენი სისხლი მართებთ და შეგვარიგეთო.

ეს საქმე მივენდეთ ხესტოევ გარდაფხაძეს, რათა მან ეხელმძღვანელებინა სვანური ზნეჩვეულებით და შერიგება მოეხდინა, რომელიც შესრულებულ იქნა.

სვანებს ძალიან უყვართ წარსული ცხოვრების მოგონება, არიან ეჭვიანები.

მათ სასარგებლოდაც რომ აკეთებდე მაინც ეჭვიანობენ.

ეზინით ყოველივე პირობის, გარიგების როგორც ისინი უწოდებენ.

ხალდეების და ლატალის ომი ახსოვთ. ხალდეში, უშგულის მახლობლათაა, ციხეები არის. ალექსანდრე მესამეს დროს წესრიგის აღსადგენათ ჯარი გაუგზავნიათ, მაგრამ ციხეებში დამალულმა სვანებმა ისინი ამოწყვიტეს, მოკლეს ჯარის უფროსი და მაზრის, რის შემდეგ გუბერნიის და კახეთის დრუჟინა ვინმე თავადი დადეშქელიანის საშუალებით შესულა და ხალხის ციხეები დაუნგრევია. აქ სოფელში არც ერთი ციხე არაა აქ ამათ.

სვანეთის საზოგადოებებს, ქუთაისის ვიცე გუბერნატორი კოლიუბაკინი და ვინმე ბარტოლომეი თავის მოხსენებებში 1847 წელში რესპუბლიკებს უწოდებს.

ამასვე ამბობს გენერალი ლევაშოვი, რომელმაც ლაშქრით იქ ჯარი შეიყვანა 1876 წელს.

რომ გადავხედოთ წარსულს და აწმყოს სვანეთისას და აგრეთვე მის გეოგრაფიულ და ეკონომიურ მდგომარეობას და გავეცნოთ ფსიხოლოგიას, დავრწმუნდებით, რომ ეს ხალხი ღირსია უდიდესი ყურადღების და უფასოდ [illegible] ისინი მთიდანვე გამოიყვანს. სვანების მოთხრობით, ყველაზე უფრო თამარ მეფეს ემორჩილებოდნენ, ბატონის დროს ქუთაისს ეცემოდნენ და სწვავდნენ.

ბის აგება, მათ ამ დიდ კითხვას, შეიძლება ითქვას, გვერდი აუარეს და ეშინოდათ პირდაპირ სთქვან თავიანთი შეხედულება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მათ არა აქვთ რევოლიუციონური ანალიზის მეთოდი, მდგომარეობის შეფასების საშუალება. ოპორტუნისტული სულის კვეთება დამოუკიდებლებს ართმევს საშუალებას გარკვეული რევოლიუციონური პერსპექტივა დაისახონ, რადგან ასეთი პერსპექტივა მოითხოვს შესაფერისს პოლიტიკას, გარკვეულს სამოქმედო გეგმებს. პარტია, რომელსაც მოკლებული არის რევოლიუციონური აქტივიზმი და მთელს იმედებს მხოლოდ ისტორიის ვითარებაზე ამყარებს, უძლურია ასეთი რევოლიუციონური პერსპექტივები დაისახოს. უმოქმედო ლოდინი და ცდა დამახასიათებელი თვისებები იყო ამ მიმართულებისა და დღესაც მ ნ ამ ავადმყოფობისაგან ვერ გაინთავისუფლა თავი, ეს დიდი საკითხი დამოუკიდებელთა პარტიისათვის გადაუჭრელი დარჩა.

კაპიტალიზმის რესტავრაციაც შესაძლებელია და სოციალისტური სისტემის გატარებაც მოსახერხებელი,—ფიქრობენ დამოუკიდებლენი. ეს დებულება მართალია და მათ ამაში ვერავინ შეებრძოლება. მაგრამ, საით არის მიმართული მათი პარტიის პოლიტიკა, რომელ გზას მიჰყვებიან ისინი, ფიქრობენ თუ არა აქტიურად შეებრძოლონ კაპიტალისტურს სისტემას და მიზან შეწონილის გეგმით შეუდგნენ სოციალისტური პოლიტიკის გატარებას? აი კითხვები, რომელსაც გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს პარტიულ პოლიტიკის გამომუშავების დროს და რომლის შესახებ არაფერს ამბობენ დამოუკიდებლენი. ამ რევოლიუციონური პერსპექტივის უქონლობა ართმევს პარტიას მამოძრავებელ სტიმულსა და ხდის მას უმოქმედოთ. დიდ სოციალურ მოძრაობის ეპოქაში, როცა გამწვავებული შეტაკებანი ხდება სოციალურ ძალთა შორის და მსოფლიო ახალს შესაძლებლობასა და მოვლენებს წინაშე სდგას, მიმდინარე პრობების შესახებ გარკვეული შეხედულების უქონლობა და მომავლის პერსპექტივების დაუსახაობა ფაქტიურად ნიშნავს პოლიტიკურ პარტიის ინერტიულ მასად გადაქცევას და მისი ჯოგურ მდგომარეობაში ჩაგდებას, რომელმაც არ იცის რა ქნას და რით წავიდეს. ასეთს გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო დამოუკიდებელთა პარტია: გარკვეული რევოლიუციონური პერსპექტივის უქონლობა ამ პარტიას შეუჩერებლივ არყევდა ორის მხრით, რევოლიუციისა და კონტრევოლიუციის შორის და როგორც პატარა ხომალდი აბობოქრებულს ზღვაში, ისე მიუყვებოდა ახალ მოვლენების ტალღებს ხან აღმა და ხან დაღმა. რევოლიუციონური ენტუზიაზმის პერიოდში (1918—20) დამოუკიდებელნი რევოლიუციონურს რიგებში აპირებდნენ დადგომას და კომინტერნის კარებზედ არაკუნებდნენ შეთანხმებული მოქმედებისათვის რევოლიუციის გასამაგრებლად; რევოლიუციონური კრიზისის ხანაში თავიანთი გემი რეფორმისტების ოჯახისაკენ მიმართეს და მეორე ინტერნაციონალთან ერთად ეწევიან ბურჟუაზიის სასარგებლო კონტრ-რევოლიუციის საქმეს. ასე ქანაობს დამოუკიდებელი პარტია და მის გვერდზედ აგებული 2-ნახ. ინტერნაციონალი.

ამ ქანაობის ერთი მიზეზთაგანი გარკვეული რევოლიუციონური პერსპექტივის უქონლობაში მარხია. მას არ აქვს პერსპექტივა, მაშასადამე არ აქვს გარკვეული სამოქმედო პროგრამა. ამ მხრით კომუნისტური პარტიის პოლიტიკა და პროგრამა არსებითად განსხვავდება დამოუკიდებელთა პოლიტიკის და პროგრამისაგან, როგორც თავისი მიზნებით, ისე გარკვეულობით. ბოლშევიზმმა გარკვეული რევოლიუციონური პერსპექტივა მოგვცა და ამ პერსპექტივას გარკვეული პროგრამა შეუფარდა კაპიტალიზმის განადგურებისა და სოციალიზმის განმტკიცების შესახებ. ორნახევარმა ინტერნაციონალმა გვერდი აუარა გარკვეულ პერსპექტივის დასახვასა და ამიტომ მის პოლიტიკას გაურკვევლობა და უმოქმედობა ახასიათებს. ამხ. კ. რადეკმა მშვენიერი დახასიათება მოგვცა ლენინიზმისა და დამოუკიდებელთა პოლიტიკის ერთ თავის წერილში. კ. რადეკი სწერს:

„Перспективу, развивающейся мировой революцией Ленин делает исходной точки своей тактики и показывает, как надо конкретно действовать для осуществления мировой революции Между тем, опортюнист, играющий помыслами о мировой революции, но в душе опасающийся ее, оставляет будущее неразгаданным, что бы избежать ясного определения своих ближайших шагов. чтобы выждать, что скажет история". (იხ. „Комунистический Интернационал" № 16 გვ. 3504).

ეს არის ერთი მთავარი მომენტი, რომელიც ანსხვავებს კომინტერნსა და ორნახევარ ინტერნაციონალს, კომპარტიასა და დამოუკიდებელთა პოლიტიკას. მაგრამ არის მეორე მომენტი, რომელიც მოზრდილ სადემარკაციო ხაზს უსვამს ამ ორ ორგანიზაციათა შორის და აშკარავებს მათი რევოლიუციონური შემოქმედების რაობას. ეს მომენტი გარდამავალ პერიოდისა და თვით რევოლიუციონური აქტის გაგებაში მარხია. რევოლიუციონური აქტის შეფასება და მისი მნიშვნელობა, უკეთ ერთი სამეურნეო ფორმულიდან მეორეში გადასვლა და დიდი სოციალური ტრანსფორმაციის მომენტების გაგება სულ საწინააღმდეგო პოლიუსებზედ სდგას ამ პარტიების შეხედულებაში.

დამოუკიდებელმა კაუცკიმ მიიღო რევოლიუცია როგორც საშუალება სოციალიზმის განხორციელებისა, მაგრამ მის მიერ გაგებული რევოლიუცია ერთგვარს მშვიდობის ელფერს ატარებს და არ არის თავისუფალი რეფორმისტულს შემეცნებისაგან. თუ რეფორმისტები სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდებას საარჩევნო კამპანიებთან ბიულეტენებით ფიქრობდნენ, სრულიად მშვიდობიანი გზით; ამ მშვიდობიან მეთოდს დამოუკიდებლებმა დაუპირისპირეს რევოლიუციონური მეთოდი, ძალით დაპყრობა სახელმწიფოს აპარატისა. კაუცკი სწერდა 1909 წელს: „სოციალური რევოლიუცია, რომლისკენაც მიილტვის პროლეტარიატი, შეუძლებელია გატარებულ იქმნეს, სანამ მას არ დაუპყრია პოლიტიკური ძალა უფლება". (იხ. „Путь к власти" გვ. 15).

აქ არის მთავარი განსხვავება, რომელიც აშორებს რეფორმისტების პოლიტიკისაგან დამოუკიდებელთა და აახლოვებს მათ კომპარტიასთან. მაგრამ ამის შემდეგ იწყება ის დიფერენციაცია, რომელიც სულ სხვანაირ გადაჯგუფებას ახდენს სოციალისტებს შორის. დამოუკიდებლების მიერ რევოლიუციონური პროცესის გაგება წმინდა რეფორმისტულ ხასიათს ატარებს და ის არაფრით განსხვავდება შეიდემანელების პოლიტიკისაგან. თუ დამოუკიდებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროდ დაინახეს პოლიტიკური ძალა უფლების რევოლიუციონური გზით დაპყრობა, სამაგიეროდ მათი აზროვნება ვერ გასცილდა რეფორმისტულს აზროვნებას ამ რევოლიუციის გატარებისა და სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციის საკითხში. პროცესი რევოლიუციონური აქტისა მათთვის სრულიად მშვიდობიანის საშუალებით ხდება და დიდი დისტანციით არ სცილდება რეფორმისტულს. გეგმებს გარდამავალ პერიოდის პროგრამა და გაგება დამოუკიდებლების შეგნებაში ატარებს მშვიდობიან ელფერსა და ის ძირითადად არ არღვევს, არ შლის კაპიტალისტური სისტემის პოლიტიკურსა და ეკონომიურს სტრუქტურას.

გარდამავალ პერიოდის მომენტების შესახებ შემდეგ თავში გვექნება უფრო ვრცლად საუბარი, რომელსაც ლენინიზმის დახასიათებას შევუდგებით, ახლა შევჩერდეთ „კაუცკიანიზმზე". კაუცკის პოლიტიკა და გაგება სოციალური ტრანსფორმაციისა არსებითად არ განსხვავდება რეფორმიზმისაგან და ამიტომ ის და მთელი მისი მიმდევრები რეფორმისტულად აზროვნებენ უმთავრესად.

1918 წ. კაუცკიმ გამოსცა წიგნი („პროლეტარიატის დიქტატურა") ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელშიაც გარკვევით გამოსთქვამს თავის რეფორმისტულს შეხედულებას სოციალისტურ რევოლიუციის შესახებ (იხ. ნ. ლენინის პასუხი: „Пролетарская революция и ренегат Каутский") შემდეგ მთელ რიგს წიგნებში კაუცკიმ განავითარა თავისი რეფორმისტული შეხედულება და აშკარა იყო, რომ მას ბევრი არაფერი გაეგება თანამედროვე ვითარებისა და მომენტების.

„პროლეტარიატის დიქტატურაში" კ. კაუცკი სწერდა: „Я ожидаю, что социальная революция пролетариата примет совершенно особые формы, чем революция буржуазии; что пролетарская революция, в противоположность буржуазной, будет боротсья „мирными" средствами экономическаго, законадательнаго и моральнаго порядка повсюду, где укоренилас демократия" იხ. (კრებული: „Октьябрский переворот" გვ. 12).

არსებითად ასეთი განმარტება პროლეტარიატის რევოლიუციისა რეფორმისტულია და მას არავითარი საერთო არ აქვს ფაქტიურს მდგომარეობასთან. რევოლიუციის ვითარებამ როგორც წარსულში, ისე დღესაც დაგვარწმუნა, რომ მშვიდობიანი გადასვლა ერთი სოციალური ცხოვრებიდან მეორეში, მხოლოდ პაციფისტების ოცნებაა; ასეთი აქტების დროს უდიდესს დარღვევას აქვს ადგილი ძველი სოციალური ცხოვრების პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციების. პარიზის კომუნა (1871 წ.) და მის მიერ გამოწვეული მდგომარეობა ამის ურყევი დამამტკიცებელი საბუთია. არც ერთი სოციალური რევოლიუცია არ მომხდარა მსოფლიოში, რომელსაც არ გამოეწვიოს ძველი წყობილების დაშლა და საწარმოო ძალების შეფერხება. კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა—ეს არის ხანგრძლივი პერიოდის ნაყოფი, რომლის დროსაც ხდება დიდი კლასიური სამოქალაქო ომები და რღვევა-განადგურება ძველი საწარმოო ურთიერთობისა. მარქსი მშვენივრად ხედავდა ხანგრძლივობას კატასტროფისა და ტრანსფორმაციული პერიოდის; „კომუნისტების კელნის პროცესში" მარქსს მოჰყავს თავისი სიტყვები: [illegible] ბით მუშებს: თქვენ [illegible] დაიტანოთ 15, 30, 50 წელი სამოქალაქო ომებისა და ხალხთა შეტაკებების არა მარტო იმისათვის, რომ შესცვალოთ საზოგადოებრივი წყობილება, არამედ იმისათვისაც, რომ შესცვალოთ თქვენივე თავი და შეიქმნეთ შემძლებელნი პოლიტიკური ბატონობისათვის" (იხ. Н. Бухарин: „Экономика переходнаго периода" გვ. 61). მარქსის ეს სიტყვები ამბობენ არა მარტო ისტორიულს ჭეშმარიტებას სოციალური ტრანსფორმაციის დროს, არამედ ნათელს ყოფენ რეფორმისტულ სიყალბეს ყოველი ჯურის „მშვიდობიანი რევოლიუციონერისას", რომელსაც სწამს უმტკივნეულო გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმში.

არსებითად ასეთი გადასვლა შეუძლებელია და ისტორიულმა ფაქტებმა დაამტკიცა, რომ სოციალურ რევოლიუციასა და პროლეტარიატის დიქტატურას თან მოსდევს სამოქალაქო ომები და საწარმოო ძალთა დასებით შეფერხება. ნ. ბუხარინმა თავის წერილში „პროლეტარიატის დიქტატურა რუსეთში და მსოფლიო რევოლიუცია" ეს დებულება ნათელყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მაგალითებით. ავტორი სწერს: „ყოველი რევოლიუცია დაშლა და დანგრევაა ძველი ურთიერთობისა და მის ნაცვლად ახალი ურთიერთობის შექმნა. ეს შეეხება ეკონომიურ ფუძესაც და პოლიტიკურს ზედაშენსაც, ვინც იგი სახელმწიფო ძალა-უფლებას უწინარეს ყოვლისა. და a priori უნდა ჩაითვალოს ნათლად, რომ ეს დაშლა-დარღვევა და გარდასვლა ახალს ეკონომიურს ნიადაგზედ აუცილებლად იქონიებს გავლენას საზოგადოებრივი შრომის აპარატზედ, როგორც დროებით დამრღვევი ფაქტორი". (იხ. ქართული თარგმანი. გვ. 5). შემდეგში ავტორმა თავისი დებულება მეცნიერულად დაასაბუთა და საინტერესო შრომა მოგვცა ტრანსფორმაციულ პროცესის საერთო თეორიის შესახებ. (Экономика переходнаго периода).

კ. კაუცკიმ ვერ გაინთავისუფლა თავი რეფორმისტულ აზროვნებისაგან და თან წაითრია მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული შეგნება. რევოლიუცია უწინარეს ყოვლისა ეხება საზოგადოების ორ უმთავრეს მხარეს,—პოლიტიკურ ორგანიზაციასა და ეკონომიურ სტრუქტურას. რეფორმისტული აზროვნება მით არის ყალბი, რომ მშვიდობიანი გზით გადასვლა და განმტკიცება ფაქტიურად შეუძლებელი არის ძველს ნიადაგზედ. ახალი სოციალური წყობილება ვერ მოთავსდება ძველი წყობილების ფორმისა და სტრუქტურაზე. ახალის განმტკიცება შეუძლებელი არის მანამ, სანამ არ დაიშლება ძველი სოციალური ურთიერთობის ფორმები, მისი წყობილება და შინაარსი და არ შეიქმნება ნიადაგი ახალისათვის. ძველი აპარატის მთლიანად და უმეშვეოდ გადასვლა ახალს ლიანდაგზედ ფაქტიურად მოუხერხებელი საქმეა. ამიტომ ძველი წყობილების გადასვლა ახალზედ ვერ მოხდება უმტკივნეულოდ. მშვიდობიანი გზით და ეს პროცესი რღვევისა უნდა განიცადოს. როგორც პოლიტიკურმა აპარატმა, ისე ეკონომიურმა სტრუქტურამ.

პოლიტიკურად ეს გარდასვლა ნიშნავს ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დარღვევას, მისი შემადგენელი ნაწილების მოსპობასა და ძველის ნანგრევებზე ახალი სახის სახელმწიფოს აგებას. მარქსი თავის „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" პარიზის კომუნის გამოცდილებით და მისი მაგალითების მიხედვით სწერდა: „მუშათა კლასს არ შეუძლია უბრალოდ აიღოს ხელთ მზამზარეული სახელმწიფო მანქანა და ამუშაოს ის თავისი საკუთარი მიზნებისათვის". პარიზის კომუნამ დაშალა ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი და მის ნაცვლად შეჰქმნა ახალი აპარატი, რომელიც იყო არა პარლამენტარული დაწესებულება, არამედ მომქმედი კოლეგია; ის იყო მთავრობა მუშათა კლასისა, დიდი ხნის ნაძებნი პოლიტიკური ფორმა, რომელშიაც შესაძლებელია მომხდარიყო შრომის ეკონომიური განთავისუფლება. (იხ. К. Маркс: „Гражданская война во Франции) შესაძლებელია თუ არა თანამედროვე გიგანტიური კაპიტალისტური სახელმწიფოს მშვიდობიანი დაშლა და მშვიდობიანივე გზით

მაგრამტი მათ ამშვიდებს და უნიშნავს ჯილოვანს. მაგრამ შემდეგ ჯილოვანებს ისინი ასახლებენ, იშორებენ თავიდან. ბევრ მათგანს ძველებური თავდასხმანი საქებათ მიაჩნიათ და ამიტომაა, რომ ლეჩხუმლებს, რაჭველებს და მეგრელებს ასე ურცხვათ ესხმიან და ჯოგებს ართმევენ. ჩემს იქ ყოფნის დროს დავაპატიმრეთ ექვსი სვანი, რომლებმაც გამოდენეს ჯოგი ჩოლურიდან და წაართვეს რაჭის მცხოვრებთ ხარები, ყველანი გამოტყდნენ და ჯოგი დააბრუნეს.

გამოძიების დროს გამოირკვა, რომ რაჭველებიდან ხარების წართმევას კანონიერათ სთვლიან „ჩვენი მათ მართებთო". თურმე ექვსასი წლის წინათ მათ ხარებით კონტრიბუცია დაუდვიათ რაჭველებისათვის და რადგან არ გადაუხდიათ ამბობენ: ახლა უნდათ გადაგვიხადონ ან ფიცში შემოგვყვნენ, რომ მათ ჩვენი ხარები არ მართებთო.

მე, მართალი გითხრათ, დიდათ კმაყოფილი წამოვედ სვანეთიდან, რადგან ჩემთან გულახდილობა გამოიჩინეს და განკარგულებებს სიჩქარით ასრულებდნენ.

მე ჩავიბარე ხუთასზე მეტი ვინტოვკა და ბევრი დანა და ოთხი ტყვიის მფრქვეველი.

სვანეთის განიარაღება მეტად საჭიროა, რომ შემცირდეს მკვლელობა ერთი მეორეში.

ეს ხალხი უთუოთ ერთი მეორეს ამოახოცავს, თუ ჩვენ მათ სათანადო ყურადღება არ მივაქციეთ. სოც.-დემოკრატების მთავრობამ, რომელსაც დაიმორჩილა სვანები და ვერ განაიარაღა, სულ არ უშლიდნენ იარაღის ტარებას და თვითონ სვანები მეუბნებოდნენ: ამას გვიშობოდენ იმიტომ, რომ ჩვენ ერთი მეორე ამოგვეწყვიტათო.

საბჭოთა ყრილობაზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია: ვისაც აღმოაჩნდება იარაღი ექვსი თვით ქუთაისის ციხეში უნდა გაიგზავნოს.

სვანები სხვა მეთაურებს, კომისრებს ვერ ეგუებიან, გარდა უმეტესათ გურულებისა.

ეს ადვილი გასაგებია, მეგრელები და ლეჩხუმლები მათი მოსაზღვრეებია და ხშირათ მათთან კონფლიქტი აქვთ, ამიტომ გურულებს უპირატესობას აძლევენ.

მე არ დამრჩენია არც ერთი საზოგადოება, გარდა ერთისა, დაუვლელი.

მიტინგებზე ქალებიც ესწრებოდნენ: გამოიტანეს რეზოლიუციები, რომლებიც აშკარად ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ეს მათი ხელისუფლებაა. საქართველოს ცენტრალური მთავრობის სრული ერთგული არიან. ქუბერის საზოგადოება არ ვინახულე იმიტომ, რომ ამ საზოგადოებამ გაგზავნილ პირებს პირველად უარი უთხრა იარაღის ჩაბარებაზე.

თუმცა ჩემს წამოსვლის ხანს დელეგაცია მოვიდა ამ საზოგადოებიდან, მოიტანეს ჯორებზე დატვირთული იარაღი და მთხოვეს მენახულა ეს საზოგადოება, მე უდროობის გამო ეს საზოგადოება მაინც ვერ ვინახულე და ვსთხოვე დელეგაციას, რომ გადაეცათ მცხოვრებლებისათვის მადლობა.

ამ ჟამად იქ გაიგზავნა მილიცია, რომელიც მიემატა სხვა მილიციონერებს. ამას თვითონ საზოგადოება ითხოვს, რადგან სვანები, სვანების დაპატიმრებას როგორი დანაშაული არ უნდა ჰქონდეს, ერიდებიან, რათა შემდეგ სისხლი არ აიღონ. ამიტომ მათ სასურველად დაინახეს შერეული მილიციის ყოლა.

გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ სვანეთში სულ ახლო ქურდობას და ავაზაკობას ნაკლები ადგილი ექნება, იმდენათ ჩაება იქაური ხალხი თვითმოქმედებაში.

შემთხვევით მე იქ ჩავიგდე ერთი გაზეთი (საზოგადოთ იქ გაზეთი იშვიათი ხილია), რომელშიც იყო ხალხის მტრების ნაჯღაბნიდან ასეთი შინაარსის ციტატა მოყვანილი: „სვანეთში არაფრის წინაშე არ იხევენ და ასობით ხვრეტენ სვანებს, რათა მტკიცე მუშურ-გლეხური მთავრობა შექმნანო".

ყრილობაში იყო სვანი დელეგატები. ასეთ ტყუილის გამვრცელებლებისთვის მათ სთქვეს: ეხლა ვხედებით, რომ ჩვენი გამოყენება სურთ მოწინააღმდეგე პარტიებს და თუმცა ჩვენ სვანები კი ვართ, მაგრამ არც ისეთი ხამი ხალხი, როგორც იმათ გონებიათო.

სვანები ძალიან იშვიათათ ეკუთვნიან ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას.

ხალხის უმრავლესობა კომუნისტურ პარტიას თანაუგრძნობს, არის ორიოდე ფედერალისტები ინტელიგენტები, ერთი ნაციონალ-დემოკრატი და ორიოდე მასწავლებელი სოც.-დემოკრატები, მენშევიკი.

მოსავალი წელს კარგია, მაგრამ საზოგადოთ მიწის სიმცირე ისეთია, რომ მათი მოსავალი არასოდეს არ ყოფნიდა და საზამთროთ ბარში გადმოდიოდნენ თავის გამოსაკვებათ და სამუშაოთ.

სწავლას სვანები აფასებენ, მაგრამ მასწავლებლები, რომელიც ნიკოლოზის დროის კავკასიის სკოლების მეთვალყურეს რუდოლფს აუგია, ნახევრად გაპარტახებულია.

ხუთი წელია რაც იქ სწავლა არ ყოფილა. მასწავლებლები კი ჯამაგირის ნუსხას მაინც ადგენდნენ და კიდევაც იღებდნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს განკარგულებაში მცირე თანხა იყო, ვეცადეთ შეგვეკეთებია ბეჩოს ორკლასიანი სასწავლებელი იქვე მეორე სასწავლებელი სახელოსნო, ქალის სასწავლებელი და სხვა.

გამოვაცხადეთ სკოლების გახსნა ახალგაზდა და დავნიშნეთ გამოცდილი მასწავლებელი დავითიანი, რომელიც ენერგიულად შეუდგა თავის მოვალეობას. ყველაზე უფრო უნუგეშო მდგომარეობაში საექიმო დარგია. იქ ერთადერთი ექიმია, მკვიდრი მცხოვრები მესტიიდან გიორგი ნიჟარაძე, რომელსაც თავის სახლში აქვს პატარა საავადმყოფო. აუცილებლად უნდა გაიხსნას რამოდენიმე საფერშლო პუნქტი და სადეზინფექციონო სვანეთში, სახელდობრ ეწერში, საავადმყოფო.

სვანეთს ანადგურებს სხვა და სხვა ავადმყოფობა, მედიცინური დახმარებლობის გამო, ეგრედ წოდებული ისპანკას ამ რამოდენიმე წლის წინად ათობით უმსხვერპლია სვანები. არის სოფლები დაცლილი სხვა და სხვა გადამდებ სენის წყალობით, ჩიყვი, კრეტინიზმი, ვენერიული ავადმყოფობა და სხვ. ძლიერ გავრცელებულია.

მთელი რიგი სოფლებისა სახლდებიან ამ ბოლო ხანებში დალში, აფხაზეთში. იქ უკვე დასახლებულია ათასამდე კომლი. ეს ხალხი ისეთ მდგომარეობაშია რომ უთუოდ დაიღუპება, მოისპობა თუ თავის დროზე არ მივეშველეთ. უმთავრესი—გზის გაყვანა.

გუბერნატორ სლავოჩინსკის დროს დაუწყიათ ჯვარიდან, სამეგრელოდან გზის გაყვანა. კლდიდან თოკებით უშვებდენ თურმე მუშებს და სამ არშინიანი გზა, გამოთხარეს, მაგრამ ეხლა ალაგ-ალაგ მისი ნატამალიც კი არა სჩანს. ჩემის აზრით სჯობს ისევ ამ გზის განახლება. თუ ქვემო სვანეთიდან დაიწყება გზა მაშინ ერთ-ერთ უღელტეხილზე გვირაბის გაყვანა შეიძლება.

ყრილობაზე სვანები ამას ადასტურებდენ და თან ამბობდნენ, — მინისტრმა რამიშვილმა დაპირდა ჩვენს დელეგაციას გვირაბის გაყვანა და დაპირებით დარჩა, თქვენ არ გვპირდებით, მაგრამ მაინც საქმეს ვხედავთ. ახლა მეტი იმედი გვაქვს, იქნება რამე გვეშველოსო.

ლათფარი ენკენისთვის შემდეგ დაიკეტება, ეხლაც როცა გადმოვდიოდი ძლიერ სიცივე იყო, უკვე კი ჩემსობაზე დასთოვა.

ასე რომ მომავალ ივნისამდე სვანეთი კარჩაკეტილი იქნება და მთელ ქვეყნიერობას მოწყვეტილი.

ახალის შენება? რასაკვირველია, არა. მაგრამ ასეთის დაშლაზედ რეფორმისტები და მასთან ერთად კაუცკიც სრულებით არ ფიქრობს და ამიტომ ისინი სავსებით დაშორდნენ იმ გზებს, რომელსაც მარქსი უდებდა თავის რევოლიუციონურს კონცეპციას სახელმწიფო აპარატის პროლეტარიატის ხელში გადასვლის დროს. პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების დაპყრობა, ეს არის დარღვევა ბურჟუაზიული სახელმწიფოსი, რომლის დროსაც ელემენტები დარღვეულ წყობილებისა ზოგი ისპობა, ზოგი კი ახალს ფორმაში გადადის. ნ. ლენინმა თავის ცნობილ შრომაში („სახელმწიფო და რევოლიუცია") ეს დებულება მეცნიერულად დაამტკიცა და ერთხელ და სამუდამოდ ნათელყო სახელმწიფოს როლი და მისი ახალი ფორმები გარდამავალ პერიოდში. (იხ. აგრეთვე ნ. ბუხარინის წერილი: „Теория пролетарской диктатуры" ზემოდ დასახელებულ კრებულში). ეს თეორია დღეს დამტკიცებულია არა მარტო ზოგადი პრინციპებით, არამედ პრაქტიკული გამოცდილებითაც, რომლის საუცხოვო მაგალითს წარმოადგენს რუსეთის თანამედროვე სინამდვილე.

სიმონ ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

ახალი ამბები

— **კომუნალური გადასახადის გადახდა წითელ არმიელების მიერ.** აღძრული საკითხის გამო ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა ფინანსიურ განყოფილებას, რომ დაჩქარებით წარმოდგენილი იქნეს ანგარიში იმის შესახებ, თუ რამდენი ირიცხება წითელ არმიელებზედ კომუნალური გადასახადი.

— **ბავშვთა ქალაქი კოჯორი.** ქალაქის აღმასკომის განათლების განყოფილების ამხ. დ. რუხაძის მოხსენების თანახმად, ყველა საბავშო სახლების ბინა კოჯორის რაიონში გადადის ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში.

— **რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკი.** ტფილისში ჩამოვიდა წარმომადგენელი რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის მოადგილე ამხ. თუმანოვი, რომელიც დანიშნულია რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკის კონტორის გამგედ ტფილისში.

განათლების კომისარიატის პროფესიონალურ მმართველობის საყურადღებოდ

ჩვენ გვსურს პროფესიონალურ მმართველობის ყურადღება მივაქციოთ, რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში დღემდე არსებულ ერთ ანორმალურ მოვლენაზე. ცნობილია, რომ საქართველოში არსებულ ტექნიკუმებში, მცირე გამონაკლისით, საქართველოს ისტორიას თავის საკუთარი სპეციალ. მასწავლებელი არა ჰყავს.

ამ დიდ მნიშვნელოვან საგნის გაკვეთილები განაწილებულია სხვა და სხვა დარგის მასწავლებელთა შორის და შეადგენს მათი ზედმეტ გაკვეთილებს, მცირე შემოსავლიან წყაროს.

ამგვარი ანორმალური მდგომარეობა დღემდე მართლდება მით, რომ ჩვენში საქართველოს ისტორიის ცოდნით აღჭურვილი პირები არ მოიპოვებოდა, მაგრამ დღეიდან ეს დანაკლისი არ არსებობს, რადგანაც ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრში გამოუშვა შვიდი სტუდენტი საქართველოს ისტორიაში კურს დამთავრებულნი და შემდეგშიაც, რასაკვირველია, ყოველწლიურად უფრო მოზრდილ რიცხოვანს მოამზადებს. ამიტომ განათლ. კომისარიატ. პროფესიონალური მმართველობამ, უნდა დაარსოს ყველა საშუალო სასწავლებლის ცალკე თანამდებობა და მიიწვიოს ამ დარგში მომზადებულნი. დროა ბოლო მოეღოს საქართველოს ისტორიის გაკვეთილების განაწილებას, უნდა განთავისუფლდნენ სხვა დარგის მასწავლებლნი საქართველოს ისტორიის ზედმეტ გაკვეთილებისაგან და გადაეცეს ის ამ საგანში მომზადებულ პირთ. წინააღმდეგი შემთხვევა, ე. ი. არსებულ მდგომარეობის დატოვება დიდი დანაშაული იქნება ქართველ ახალგაზრდა თაობის წინაშე. პირდაპირ დაუშვებელია, რომ თავისუფალ ქართულ სკოლას არ ჰყავდეს საქართველოს ისტორიის მცოდნე საკუთარი მასწავლებელი.

მანი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ყველა მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა 1922 წლ. 1 სექტემბრიდან

მატარებლების გამგზავრება
ტფილისიდან უკანასკნელ სადგურამდე

მატარებლების მისვლა
ტფილისში უკანასკნელი სადგურიდან

ტფილისის დროთი

ტფილისი-ბათომი-ფოთი და მისი შტოები

მატარებლების № №				სადგურები	მატარებლების № №			
22	6	4	2		1	3	5	21
11,45 ღ.	10,30 საღ.	11,40 დილ.	6,15 საღ	ტფილისი	8,25 დილ.	6,00 საღ	6.00 დილ.	3,25 ღ.
1,03 ღ.	11,20 ღ	12,41 დღ.	7,04 ს.	მცხეთა	7,43 დილ.	5,07 დღ.	5,25 დილ.	2,24 ღ
5,50 ღ.	1,24 ღ.	3,4 დღ.	9,04 დღ	გორი	5,57 დილ.	2,56 დღ.	3,38 დილ.	10,07 საღ.
9,35 დილ.	3,18 ღ.	5,8 დღ.	10,49 ს.	ხაშური	4,30 ღ.	1,16 დღ.	2,15 ღ.	6,43 საღ.
—		6,15 დღ.	—	ბორჯომი	—	10.55 დილ.	—	—
2,18 დღ.	6,52 დილ.	8,59 საღ.	2,30 ღ.	შორაპანი	12,17 ღ.	8,50 დილ.	9,51 დღ.	1,00 დღ
—	მოდის	12,40 დღ.	—	საჩხერე	—	4,54 დღ.	—	—
—	მოდის	11,50 ღ.	—	ქუთაისი	—	5,30 დილ.	—	—
7,36 ღ.	9,35 დილ.	12,32 ღ.	5,21 დილ.	სამტრედია	9,44 ღ.	5,07 დილ.	7,14 ს.	6,25 დილ.
—	—	2,18 ღ.	—	ახ. სენაკი	—	2,19 ღ.	—	—
11,58 ღ.	—	3,40 ღ.	—	ფოთი	—	12,44 ღ.	—	5,00 დილ.
3,00 ღ.	1,00 დღ.	4,50 ღ.	8,45 დილ.	ბათომი	6,00 ს.	12,15 ღ.	3,25 ღ	10,00 დილ.

ტფილისი-ბაქო-დერბენტი-პეტროგრადი

მატარებლების № №				სადგურები	მატარებლების №№			
21	5	3	1		2	4	6	22
5,40 დღ.	8,00 დილ.	9,30 ს.	11,00 დილ.	ტფილისი	3,00 დღ.	7,15 დილ.	8,25 ს.	9,45 დილ.
11,53 ღ.	11,33 დილ.	1,27 ღ.	3,00 დღ.	აქსტაფა	11,23 დილ.	3,21 ღ.	4,45 დღ.	3,51 ღ.
7,39 დილ.	2 54 დღ.	5,15 დილ.	6,30 დღ.	ელისავეტპოლი	7,55 დილ.	11,32 ღ.	1,18 დღ	9,37 საღ.
12,00 დღ	5.12 დღ.	7,50 დილ.	8,55 დღ.	ევლახი	5,16 დილ.	8,40 საღ.	10,47 დილ.	4,50 დღ.
10,23 ღ.	10,00 დღ	1,28 დღ.	1,53 ღ.	აჯიკაბული	11,34 ღ.	2,28 ღ.	6,02 დილ.	6,45 დილ.
მოდის					გადის			
4,30 ღ.	1,50 ღ.	5,35 დღ.	5,45 დილ	ბაქო	7,15 ს.	9,45 დილ.	2,00 დილ	11,15 ღ.
გადის					მოდის			
7,30 დილ.	3,35 საღ.	8,20 საღ.	—	ბაქო	—	6,45 დილ.	12,15 ღ	4,30 დღ.
3,42 დღ.	9.04 დილ.	3,06 ღ.	—	ხაჩმასი	—	12,54 ღ.	7 ს.	8,55 დილ.
8,05 ს.	12,20 დღ.	6,40 დილ.	—	დერბენტი	—	9,50 ღ.	4,07 დღ.	4,10 ღ.
3,15 ღ.	6,00 საღ	12,35 დღ.	—	პეტროვსკი	—	4,30 დილ.	11,15 დილ.	9 00 საღ.
4,40 ღ.	10,45 საღ.	3,20 დილ.	—	როსტოვი	—	11,00 ღ.	6,45 დილ.	12,10 ღ
—	10,30 საღ.	—	—	მოსკოვი	—	—	7 ს.	—
—	12 დღ. შ. დ	—	—	პეტროგრადი	—	—	9 ს.	—

მოდის ტფილის-წნორის წყალი-თელავი

—	—	9 დილ.	—	ტფილისი	—	7,35 საღ	—	—
—	—	12,47 დღ.	—	საგარეჯო	—	3,54 დღ	—	—
—	—	6,20 საღ.	—	გურჯაანი	—	10,40 დილ.	—	—
—	—	9 "	—	წნ. წყალი	—	7,30 "	—	—
—	—	9.30 "	—	თელავი	—	7 "	—	—

ტფილისი-ერევანი-ჯულფა

12,30 დილ.	—	8 საღ.	—	ტფილისი	—	8,10 დილ.	—	4,00 დილ.
3,15 საღ.	—	2.35 ღამ.	—	სანაინი	—	2,10 ღამ.	—	9,00 საღ.
12,15 ღამ.	—	5,40 დილ.	—	კარაკლისი	—	11 25 "	—	5,53 დღ.
7 დილ.	—	11 "	—	ალექსანდროპოლი	—	6,45 საღ.	—	12,20 "
მოდის					გადის			
2,45 დღ.	—	6 საღ		ერევანი		9 დილ.	—	11,30 ღამ.
გადის					მოდის			
—	—	3,00 დღ.	—	ერევანი	—	1,47 დღ.	—	—
—	—	11,57 ღამ.	—	შახტახტი	—	5 30 ღამ.	—	—
—	—	4,15 "	—	ნახიჩევანი	—	2,10 "	—	—
—	—	6,30 დილ.	—	ჯულფა	—	8,00 საღ.	—	—

ტფილისი-ბორჯომი-სურამი-ბაკურიანი

მ. № 18	მ. № 20						მ. № 19	მ. № 17
8,35 დილ	4,00 დღ.	—	—	ტფილისი	—	—	7,45 დილ.	10,00 საღ.
9,35 დილ.	5,01 დღ	—	—	მცხეთა	—	—	6,52 დილ.	9,11 საღ.
11,27 დილ.	7,12 საღ	—	—	გორი	—	—	4,45 ღ.	7,06 საღ.
1,47 დღ.	9,00 საღ.	—	—	ხაშური	—	—	3,15 ღ.	5,37 დღ.
3,30 დღ.	10,15 საღ.	—	—	სურამი	—	—	1,30 ღ.	4,00 დღ.
მოდის					გადის			
2,55 დღ.	10,30 ღ	—	—	ბორჯომი	—	—	1,15 ღ.	3,55 დღ.
გადის					მოდის			
—	7,05 დილ.	—	—	ბორჯომი-პარკი	—	—	5,25 დღ.	—
—	8,33 დილ.	—	—	წაღვერი	—	—	4,04 დღ.	—
—	10 52 დილ.	—	—	ბაკურიანი	—	—	1,53 დღ	—

შენიშვნები: 1) საფოსტო მატარებლები № 1 და 2 დასაძინებელი ადგილებით და ვაგონ-რესტორანით დადის ორჯერ კვირაში: ბათომიდან ოთხშაბათობით და კვირაობით; ტფილისს ჩადის ხუთშაბათობით და ორშაბათობით; ბაქოში ჩავა პარასკეობით და სამშაბათობით. მ. № 2 ბაქოდან ბრუნდება პარასკეობით და სამშაბათობით; ტფილისში მოდის შაბათობით და ოთხშაბათობით, ბათომში მოდის კვირაობით და ხუთშაბათობით.

2) სწრაფი მატარებელი №№ 5 და 6 დადის სამჯერ კვირაში; ბათომი როსტოვი ორშაბათობით; როსტოვში მიდის ხუთშაბათობით. ბათომი-მოსკოვი შაბათობით. ბათომი-პეტროგრადი ხუთშაბათობით; მიდის პეტროგრადში ოთხშაბათობით, ამ მატარებელში დასაწოლი ადგილები დანომრილია.

3) მატარებელი № 6 როსტოვიდან ბათომამდე კვირაობით; ტფილისში მოდის და გადის ოთხშაბათობით; მოსკოვიდან ბათომში ოთხშაბათობით; ტფილისში მოდის და გადის კვირაობით და პეტროგრადიდან ბათომში კვირაობით, ტფილისში მოდის და გადის პარასკევობით.

4) საფოსტო მატარებელი №№ 3 და 4 ტფილისიდან და ერევნიდან გადის ლუწ დღეებში.

ა) სამარგო-სამგზავრო მატარებელი 25 და 26 კენტ დღეებში.

5) ფოსტის მატარებელი №№ 3 და 4 ტფილისიდან და თელავიდან გადის ლუწ დღეებში სამარგო-სამგზავრო № 21 და 22 კენტ დღეებში ერთ და იმავე სათზე.

6) ერევანსა და ჯულფას შორის ორჯერ კვირაში—ერევნიდან სამშაბათობით და პარასკეობით, ჯულფიდან კი ოთხშაბათობით და შაბათობით.

7) პირდაპირი მიმოსვლა: ტფილისი-ფოთი, ტფილისი-ქუთაისი, ქუთაისი-ბათომი ფოსტის მატარებლების №№ 3 და მთავარ ხაზზე და შტოებზე თანახმად ამ მატარებლების მიმოსვლისა.

8) ბაქო-კავკავი ერთი კლ. ვაგონი მატ. №№ 3 და 4.

9) №№ 5 და 6 მატარებლების შემადგენლობაში მოსკოვი ტფილისს შორის სპეციალური დანიშნულების ვაგონი (საერთაშორისო [illegible] ყოფილი ვაგონი) და როსტოვი-ტფილისი ერთი კლ. ვაგონი.

№ 18 2—1

ტირაჟი 1000

[illegible] სახ. პოლიგრაფ. [illegible] № 2 სტამბა, [illegible]